პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აპრილი 2017 წელი

ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზურაბ პატარაძის ქუჩის მონაკვეთისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ისნის რაიონში, ზურაბ პატარაძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

X:487,973.896
Y:4,617,272.671
მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზ.
X:487,647.802
Y:4,617,060.640

იოზეფ პილსუდსკი

(1867-1935)

პოლონელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, სახელმწიფოს პირველი მეთაური, პოლონეთის არმიის დამაარსებელი, მარშალი.

დაიბადა 1867 წელს ქალაქ ვილნოსთან (ვილნიუსი) ახლოს, სოფელ ჟულოკში. სწავლობდა ვილნოს გიმნაზიაში. შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. პოლიტიკური პრობლემები შეურიგებელ პოლონელს უკვე გიმნაზიიდან ჰქონდა. 1886 წელს ხარკოვში სწავლისას დემონსტრაციის მოწყობისათვის სწავლის უფლება ჩამოართვეს და ხარკოვიდან გააძევეს ადმინისტრაციული წესით. იოზეფ პილსუდსკი დააპატიმრეს და 5 წლით ციმბირში გადაასახლეს. მის ძმას ბრონისლავს, ალექსანდრე ულიანოვს და სხვებს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, თუმცა მერე იმპერატორმა ბრონისლავი შეიწყალა და განაჩენი 15 წლიანი კატორღით შეუცვალა. ციმბირში ნახევარი წელი კიდევ დაუმატეს. 1892 წელს დაბრუნდა ვილნიუსში და შევიდა პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში, ლიტვის სექციაში, პარალელურად მუშაობდა გამომცემლობაში. 1900 წელს გამომცემლობა დააპატიმრეს, დაიჭირეს პილსუდსკიც. გაამწესეს სულით ავადმყოფთა დაწესებულებაში, პეტერბურგში. 1901 წელს გამოიქცა. მოახერხა და ჩამოაყალიბა პოლონური ლეგიონი, რომლის მეთაურიც გახდა და ებრძოდა რუსებს ავსტრიელებთან ერთად. 1914 წელს შევიდა ვარშავაში და ეროვნული მთავრობის სახელით მოწოდება გაავრცელა. იმავე წელს მისი ინიციატივით, ყოფილი რეჩ პოსპოლიტას მთელ ტერიტორიაზე შეიქმნა პოლონეთის სამხედრო ორგანიზაცია. უარი თქვა დროებით სახელმწიფო საბჭოსთან თანამშრომლობაზე, რომელიც გერმანული მთავრობის დახმარებით არსებობდა და გასცა განკარგულება, პოლონელ ჯარისკაცებს არ დაედოთ ფიცი გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ერთგულებაზე.

ის დააპატიმრეს, მაგრამ იმდენად პოპულარული იყო პოლონეთში, რომ გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ ხელი არ მოაწერა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოებთან რაიმე დათმობებზე. 1918 წლის 8 ნოემბერს ის ტრიუმფით დაბრუნდა ვარშავაში. შეადგინა მთავრობა. 1919 წელს დამფუძნებელმა სეიმმა ცნო მისი განსაკუთრებული ძალაუფლება, როგორც სახელმწიფოს მეთაურისა. 1919 წელს დაიწყო საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის ომი. თავიდან პილსუდსკიმ მოახერხა და წითელ არმიას წაართვა ვილნიუსი, მინსკი, კიევი. თუმცა, შემდეგ მოუწიათ უკან დახევა და ამ ქალაქების დატოვება. მრავალრიცხოვანი წითელი არმია დაიძრა ვარშავისაკენ. მაგრამ, პილსუდსკის კარგი გეგმით გმირმა პოლონელებმა სასწაული მოახდინეს და 1920 წლის 13-25 აგვისტოს მდინარე ვისლასთან წითელი არმია გაანადგურეს. პილსუდსკის ჰქონდა ოცნება ერთ ფედერაციულ სახელმწიფოში გაეერთიანებინა პოლონეთი, უკრაინა, ბელორუსია და ლიტვა, მაგრამ ვეღარ შეძლო. მხოლოდ ბელორუსის და უკრაინის რაღაც ნაწილი გამოსტაცა კომუნისტებს. 1920-1921 წლებში დაიდო საზავო ხელშეკრულება პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის და ომი შეწყდა. საყოველთაოდ ცნობილია იოზეფ პილსუდსკის განსაკუთრებული ზრუნვა საქართველოზე. 1918 წელს, როგორც საქართველომ, ასევე პოლონეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით 1918 წლის შემოდგომაზე თბილისში დაარსდა პოლონეთ-საქართველოს სამრეწველო-სავაჭრო კავშირი. 1921 წლის იანვარში პოლონეთის მთავრობამ ცნო საქართველოს რესპუბლიკა. გასაბჭოების შემდეგ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო. პილსუდსკიმ შესთავაზა პოლონეთში დამკვიდრებულიყვნენ, მაგრამ მათ საფრანგეთი არჩიეს. პოლონეთის მთავრობა იოზეფ პილსუდსკის გარდაცვალებამდე (1935 წ.) გამოყოფდა მათი შენახვის ხარჯებს. ემიგრაციის გარკვეულმა ნაწილმა, განსაკუთრებით სამხედროებმა, თავის სამკვიდროდ პოლონეთი აირჩიეს, რომელიც მალე მათთვის მეორე სამშობლოდ გადაიქცა. საკმარისია აღინიშნოს, რომ პოლონეთის არმიას ჰყავდა 6 ქართველი გენერალი და 108 სამხედრო ოფიცერი. ქართველი ოფიცრობა პოლონეთში მსახურობდა კონტრაქტის საფუძველზე. ამავე დროს არც ერთ ქართველ ემიგრანტს არ დავიწყებია თავისი სამშობლო. საქართველოს დამოუკიდებლოს საკითხი ფართო მსჯელობის საგანი იყო იმდროინდელ პოლონეთში. ქართულ თემატიკას ეკავა უმთავრესი ადგილი ვარშავაში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში. პოლონეთ დიდხანს იკავებდა თავს სსრკ ცნობისაგან მის მიერ სამხრეთ კავსაკსიის დაპყრობის საბაბით.

ამის მერეც, მარშალი პილსუდსკი სიკვდილამდე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა პოლონეთის სახელმწიფოში.